17/12/2025

MES 0 25 0001795619

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 12 დეკემბერს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა
Time: December 12, 2025 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/88366166567?pwd=Pbb5fqlRJwxBc0s8ObHXvK4DhzRt0F.1
Meeting ID: 883 6616 6567
Passcode: 377041

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს თავმჯდომარე);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების უფროსი მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ქეთევან გოგელაშვილი - საქართველოს კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
ნანა დვალი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განათლების პროექტების სამსახურის სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნინო ასათიანი - შპს „ჯიაიჯი ჰოლდინგი"-ს ადამიანური კაპიტალის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
ნინო ელბაქიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მარიამ ჩოხელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი
დავით მაზმიშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
ქრისტინე ხურციძე - ხარისხის მართვის ასისტენტ-მენეჯერი

სსიპ კოლეჯი „სპექტრი"
როინ (მათე) ტაკიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამარ ხატიაშვილი - დირექტორის მოადგილე
თეიმურაზ მაჩაიძე - დირექტორის მოადგილე

შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრი
ეთერ სანაია - შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრის ხელმძღვანელი
მარიამ კვერნაძე - ადმინისტრაციული ხელმძღვანელი
გვანცა ხუნდაძე - ადმინისტრაციული მენეჯერი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
ნინო დვალი - ხარისხის მენეჯერი
ნანა მაისურაძე - სასწავლო პროცესის სპეციალისტი
ილია კუნჭულია - დარგის სპეციალისტი

შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი
მარიამ მაისურაძე - დირექტორი
დეა ჩიხლაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
ზაზა ამირეჯიბი - საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამების მენეჯერი
ნინო ხაჩიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ლაშა გოლეთიანი - მოკლევადიანი მომზადება გადამზადების პროგრამების მენეჯერი
ვახტანგ ჩიხრაძე - ა(ა)იპ „ქართველ სპელეოლოგთა კლუბის“ წარმომადგენელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:

ირმა ღარიბაშვილი
თეა ბარამაშვილი
ვალერი ჯაჯანიძე
ნინო ასკურავა
თამარ ახალაძე
ნინო ბოკუჩავა
ნინო ნიშნიანიძე
ლელა ლეჟავა
სულიკო ჯამრიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:08 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება“ /02405/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „სხვადასხვა მასალის დამუშავება თანამედროვე CAM პროგრამების გამოყენებით, 3D მოდელირება და რთული მრავალკომპონენტიანი ნაკეთობების პროექტირება“ /02394/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „მძიმე ტექნიკის (ჰიდრავლიკური ექსკავატორი, ავტოგრეიდერი და სხვადასხვა ტიპის სატვირთველი) მართვა“ /02419/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრის „დიოდური ეპილაციის პროცედურები“ /02400/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრის „ესთეტიკური და აპარატურული კოსმეტოლოგია“ /02401/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრის „პერმანენტული მაკიაჟი“ /02402/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრის „წამწამების მოდელირება“ /02403/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის „მცენარეთა მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /02391/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

9. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „მაკიაჟის შესრულება“ /02375/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

10. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „მაკიაჟის შესრულება და თმის ვარცხნილობები“ /02410/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

11. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა“ /02373/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

12. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „დიოდური ეპილაცია“ /02372/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

13. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „მღვიმის მაშველი“ /02397/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება“ /02405/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 4 ნოემბრის №1526655 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა
სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის პროფესიული გადამზადების პროგრამის „ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება“ (ID 02405) განხორციელების უფლების მოპოვების
განაცხადი და 2025 წლის 19 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 14ა.

ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 1.2 ქვესტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ
ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს
პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებაა „ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება“, ხოლო პროგრამის შინაარსში არ არის წარმოდგენილი დაკიდებული, გადასატანი და სტაციონალური ხარაჩოების აწყობისა და დემონტაჟის ტექნოლოგიური პროცესების წარმართვის საკითხები. პროგრამის სახელწოდება და თემატიკა უნდა იქნეს მოყვანილი შესაბამისობაში.
ასევე გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.4 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

რეკომენდებულია, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაზუსტდეს თუ რომელ დარგში ან/და მიმართულებაში უნდა ჰქონდეს აპლიკანტს სამუშაო გამოცდილება.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

მსმენელთა განმსაზღვრელი შეფასება განხორციელდება მე-4 კვირაში. კერძოდ, თეორიული კომპონენტის შეფასებას (გამოკითხვა) ეთმობა – 1 საათი, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შეფასებას (პრაქტიკული დავალება და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით) – 5 საათი. გამომდინარე იქიდან, რომ მსმენელებმა უნდა მოახდინონ 3 სახის ხარაჩოს აწყობა-დაშლა, პროგრამით განსაზღვრული შეფასების დრო არასაკმარისი იქნება. შესაბამისად, რეკომენდებულია განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდეს მე-5 კვირაში, და განისაზღვროს ჯამში არანაკლებ - 10 საათი.

ქვესტანდარტი 1.9 - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას

რეკომენდებულია, პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებულ "თანამშრომლობის შეთანხმებაში" წარმოჩინდეს იმ ძირითადი მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა, როგორიცაა ხარაჩოები (დაკიდებული, გადასატანი, სტაციონალური), ვინაიდან პროგრამის სახელწოდებაა „ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება". ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე ეტაპზე შპს "დომუს კონსტრაკშენის" ობიექტზე საფასადე სამუშაოები არ მიმდინარეობს და დაკიდებული ხარაჩოები არ იყო დამონტაჟებული, რეკომენდებულია, დაწესებულებამ დამატებით სხვა სამშენებლო კომპანიასთანაც გააფორმოს ხელშეკრულება, რათა პროფესიული გადამზადების პროგრამა გარანტირებულად იყოს უზრუნველყოფილი საჭირო მატერიალური რესურსით პროგრამის განხორციელების პერიოდში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 4 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 78, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 14ა.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, სამშენებლო და ინდუსტრიულ სექტორში ხარაჩოს მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოები ერთ-ერთ ყველაზე მაღალი რისკის მქონე საქმიანობად მიიჩნევა. არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დამსაქმებლების მხრიდან ხშირია შრომის უსაფრთხოების სტანდარტების უგულებელყოფა, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის, როგორც მუშაკთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ისე თვით კომპანიების სამართლებრივ და ფინანსურ მდგრადობას.

სექტორის ზრდამ ბუნებრივად განაპირობა კვალიფიციური და სერტიფიცირებული კადრების მზარდი მოთხოვნა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო დაკვეთების შესრულებისას სავალდებულოა უსაფრთხოების წესების დაცვა და სერტიფიცირებული მუშაკების ჩართვა. პარალელურად, შრომის ინსპექციის აქტიურობამ და ახალი რეგულაციების ამოქმედებამ კიდევ უფრო გაამძაფრა საჭიროება, კომპანიებს ჰყავდეთ თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი სპეციალისტები. წინამდებარე გადამზადების პროგრამა მიზნად ისახავს ხარაჩოს მონტაჟსა და დემონტაჟში ჩართული მუშაკების, ასევე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებისა და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლების პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებას და მათი უნარების შესაბამისობაში მოყვანას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან. პროგრამის განხორციელება მიზნად ისახავს არა მხოლოდ ინდივიდუალური კადრების სერტიფიცირებას, არამედ სამშენებლო სექტორში უსაფრთხოების კულტურის გაღრმავებას.

პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა გამოვლინდა ხარვეზი. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა:

სრული ზოგადი განათლება, სამუშაო გამოცდილება - 2 წელი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. როგორც აღინიშნა, დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 4 კვირა, ამ ქვესტანდარტთან მიმართებაშიც გაიცა რეკომენდაცია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, თუმცა, როგორც აღინიშნა გაიცა რეკომენდაცია პარტნიორ ორგანიზაციასთან დაკავშირებით.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.5, და 3.7 ქვესტანდარტს, აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო, ვინაიდან დაწესებულებას ჯერ არ განუხორციელებია პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელზეც მას მოპოვებული აქვს განხორციელების უფლება.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. მან დასძინა, რომ ვინაიდან პირველი სტანდარტის ქვესტანდარტში გამოვლინდა ხარვეზი, საკითხს კენჭისყრაზე დააყენებდა ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრისთვის „ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს (ს/კ: 406290954) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული გადამზადების პროგრამის - ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება /02405/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

2. სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „სხვადასხვა მასალის დამუშავება თანამედროვე CAM პროგრამების გამოყენებით, 3D მოდელირება და რთული მრავალკომპონენტიანი ნაკეთობების პროექტირება“ /02394/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა ბარამაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 5 ნოემბრის №1538783 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა თეა ბარამაშვილმა შეისწავლეს სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „სხვადასხვა მასალის დამუშავება თანამედროვე CAM პროგრამების გამოყენებით, 3D მოდელირება და რთული მრავალკომპონენტიანი ნაკეთობების პროექტირება“ (ID 02394)

განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 20 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ „სპექტრში“, მისამართზე ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.8 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.8 - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით

რეკომენდებულია სწავლების მეთოდების სპექტრის გაფართოება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა და გუნდური პროექტების მეტი ინტეგრირებით, რათა გაძლიერდეს მსმენელთა კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობისა და კომპლექსური საწარმოო პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარები.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დღევანდელ ტექნოლოგიურ სამყაროში, შეუძლებელია უმცირესი დეტალების პროექტირებაც კი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, ასევე, ყველა თანამედროვე საწარმო აღჭურვილია ციფრული CNC პროგრამული მართვის ჩარხებით. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულს იმგვარი ცოდნითა და უნარებით, რაც აუცილებელია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ნაკეთობების პროექტირების და ციფრული CNC პროგრამული მართვის ჩარხების სამართავად. პროგრამის მიმდინარეობისას მსმენელს საშუალება ეძლევა შეისწავლოს სხვადასხვა რთული სახის ობიექტების თუ მრავალკომპონენტიანი მოძრავი დეტალებისგან შემდგარი ნაკეთობების პროექტირება, მათი განდეტალება, ციფრული ნახაზების გამოტანა, CNC პროგრამული მართვის ჩარხებისთვის პროგრამების დაწერა, სრული სიმულაციური ანალიზი და G კოდების გამოტანა. პროგრამის შესწავლის შემდეგ პირს საშუალება აქვს დაიწყოს სამსახური დაწესებულებაში, სადაც ხორციელდება ნებისმიერი ნაკეთობის როგორც პროექტირება-კონსტრუირება, ასევე შექმნა. პროგრამის გამოყენება ასევე შესაძლებელია ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, სადაც ხდება ტრანსფორმერი ავეჯის კონსტრუქციების მოგონება, 3D მოდელად ქცევა და შემდგომში მზა ნაკეთობად წარმოდგენა. პროფესიული მომზადების პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის მიერ, კომპანიის ინიციატივით და ჩართულობით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კერძო სექტორი, კერძოდ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“, რომლის კონტრიბუციაა კურსამთავრებულების სტაჟირება/დასაქმება პროგრამის დასრულების შემდეგ.
პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: ასაკი - 16 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია პრაქტიკულ მოქმედებებზე და კომპეტენციის განვითარებაზე. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება

განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას. კოლეჯი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „სხვადასხვა მასალის დამუშავება თანამედროვე CAM პროგრამების გამოყენებით, 3D მოდელირება და რთული მრავალკომპონენტიანი ნაკეთობების პროექტირება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „სპექტრს“ (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სხვადასხვა მასალის დამუშავება თანამედროვე CAM პროგრამების გამოყენებით, 3D მოდელირება და რთული მრავალკომპონენტიანი ნაკეთობების პროექტირება /02394/ **(დანართი 1)**.

3. სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „მძიმე ტექნიკის (ჰიდრავლიკური ექსკავატორი, ავტოგრეიდერი და სხვადასხვა ტიპის სატვირთველი) მართვა“ /02419/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 5 ნოემბრის №1538776 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ შეისწავლეს სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „მძიმე ტექნიკის (ჰიდრავლიკური ექსკავატორი, ავტოგრეიდერი და სხვადასხვა ტიპის სატვირთველი) მართვა“ (ID 02419) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 20 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ „სპექტრში“, მისამართზე ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამა მიზნად ისახავს სპეციალისტების მომზადებას მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობასა და სასაწყობე მეურნეობებში გამოყენებული ძირითადი სამშენებლო მძიმე ტექნიკის უსაფრთხოდ ოპერირებისთვის. ეს პროგრამა ზრდის დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობებს, რადგან: მაღალი მოთხოვნა ბაზარზე: მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორებზე მუდმივად მაღალი მოთხოვნაა ისეთ სექტორებში, როგორიცაა

მშენებლობა, ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლის მეურნეობა და ლოგისტიკა. ამ სფეროების განვითარება უზრუნველყოფს სტაბილურ სამუშაო ადგილებს. კონკრეტული უნარების შეძენა: პროგრამა მონაწილეებს აძლევს კონკრეტულ, პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც პირდაპირ გამოიყენება სამუშაო ადგილზე. კურსდამთავრებულები შეძლებენ ჰიდრავლიკური ექსკავატორის, ავტოგრეიდერისა და სხვადასხვა ტიპის სატვირთველის

მართვას, რაც მათ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს შრომის ბაზარზე. უსაფრთხოების სტანდარტების ცოდნა: უსაფრთხო ოპერირების სწავლება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მძიმე ტექნიკის მართვისას. კურსდამთავრებულები, რომლებიც ფლობენ უსაფრთხოების წესებსა და პროცედურებს, უფრო სასურველნი არიან დამსაქმებლებისთვის, რადგან ეს ამცირებს უბედური შემთხვევების რისკს და ზრდის სამუშაო პროცესის ეფექტურობას.
პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 9 კვირა. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება. AC გარემო - აღჭურვილია შესაბამისი დანადგარებითა და აღჭურვილობით, კერძოდ სასწავლო გარემოში წარმოდგენილია დემონსტრირების ციფრული საშუალებები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, მძიმე სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოები. ამავე გარემოში წარმოდგენილია საგზაო გრეიდერის, სხვადასხვა ტიპის დამტვირთველის და ექსკავატორის 3 ერთეული სიმულატორ/ტრენაჟორი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. პროგრამის სპეციფიკის და მატერიალური რესურსის რაოდენობის გათვალისწინებით ერთდროულად, ერთ ცვლაში შესაძლებელია მომზადდეს მხოლოდ 15 მსმენელი.
პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კომპანია გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთი სწავლის შედეგის ,,მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ჰიდრავლიკური ექსკავატორი, ავტოგრეიდერი და სატვირთველი) შემოწმება", აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთდროულად შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნული ნაწილი გაიაროს 15 მსმენელმა. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, შეფასდა ანალოგიურად, ვინაიდან ეს პროგრამაც წარმოდგენილია სსიპ კოლეჯ „სპექტრის" მიერ. პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის, მან დასძინა, რომ მისასალმებელია, როდესაც ასეთი გამართული სასწავლო გარემო აქვს

დაწესებულებას თავისი სიმულაციებით და პლიუს შესაძლებლობა, რომ მსმენელს შეუძლია უკვე კომპანიაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება. მან მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს წევრი ნინო ასათიანი დაინტერესდა, პრაქტიკული კომპონენტი სიმულატორებზე განხორციელდებოდა, თუ პარტნიორი ორგანიზაციაც იქნებოდა ჩართული პრაქტიკული ნაწილის განხორციელებაში, ასევე არის თუ არა უკუკავშირი დამსაქმებლებისგან კურსდამთავრებულების შეფასების შესახებ.
დაწესებულების დირექტორმა მათე ტაკიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრს და დასძინა, რომ აქვთ კომუნიკაცია და ძალიან მჭიდრო ურთიერთობა წამყვან კომპანიებთან, სხვა ტიპის პროგრამებთან მიმართებაშიც, პროგრამაზე მოთხოვნა არის ძალიან დიდი, მომზადებული კადრები მოთხოვნადია. რა თქმა უნდა უკავშირი ყველა მათგანთან არის როცა რაღაც გარკვეული მოთხოვნაა კომპანიებისგან, ასევე კურსდამთავრებულებთანაც. ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს დაწესებულება თურქეთთან სიმულატორების დამატებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კოლეჯის დირექტორს და დასძინა, რომ რომ ბევრ ქვეყანაში და განსაკუთრებით ევროპულ ქვეყნებში აღნიშნული საკითხი არის რეგულირებული საქმიანობა, იმიტომ რომ თუკი ადამიანს არა აქვს ჩვეულებრივად მოწმობა ტექნიკის მართვის, ის ვერ შეძლებს უბრალოდ საქმიანობას. ეს საქმიანობა ექვემდებარება რეგულირებას და ძალიან კარგია როდესაც უკვე ადამიანი არის სერტიფიცირებული, გავლილი აქვს კურსი.
მან მადლობა გადაუხადა ნინო ასათიანს კითხვისთვის და აღნიშნა, რომ უკუკავშირი ყველაზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად გავიგოთ თუ რა საჭიროებები აქვს იგივე ბიზნესს თავისი მხრიდან, ასევე მსმენელებს, ხარისხი მაქსიმალურად უნდა იყოს დაახლოებული იმ საჭიროებებთან, რა საჭიროებებიც აქვთ ორივე მხარეს.
შემდეგ ისაუბრა კოლეჯის დირექტორის მოადგილემ თამარ ხატიაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სწორედ პროგრამის გადამუშავებისას მოხდა დამსაქმებლების უკუკავშირის გათვალისწინება, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს დამსაქმებლების გამოკითხვას, სწორედ წამოსული მოსაზრებების საფუძველზე მოხდა დამტვირთველების დამატება ამ პროგრამაში, რომელიც წინა შემთხვევაში არ იყო, ანუ ეს არის ჩვეულებრივი პროცესი გაწერილი რეგულაციის მიხედვით. შესაბამისად ხდება პროგრამის გაუმჯობესება და განვითარება, შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „მძიმე ტექნიკის (ჰიდრავლიკური ექსკავატორი, ავტოგრეიდერი და სხვადასხვა ტიპის სატვირთველი) მართვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ

„სპექტრს“ (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მძიმე ტექნიკის (ჰიდრავლიკური ექსკავატორი, ავტოგრეიდერი და სხვადასხვა ტიპის სატვირთველი) მართვა /02419/ **(დანართი 2).**

მესამე საკითხის დასრულების შემდეგ საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნანა დვალმა.

4. შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრის „დიოდური ეპილაციის პროცედურები“ /02400/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრის „ესთეტიკური და აპარატურული კოსმეტოლოგია“ /02401/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრის „პერმანენტული მაკიაჟი“ /02402/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრის „წამწამების მოდელირება“ /02403/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 11 ნოემბრის №1585756, №1585776, №1585766 და №1585771 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ნინო ასკურავამ შეისწავლეს შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრის პროფესიული მომზადების პროგრამების „დიოდური ეპილაციის პროცედურები“ (ID 02400), „ესთეტიკური და აპარატურული კოსმეტოლოგია“ (ID

02401), „პერმანენტული მაკიაჟი“ (ID 02402) და „წამწამების მოდელიორება“ (ID 02403) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2025 წლის 26 და 27 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპულ ცენტრში, მისამართზე ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №67.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროფესიული მომზადების პროგრამების ხანგრძლივობაა - „დიოდური ეპილაციის პროცედურები“ – 3 კვირა, „ესთეტიკური და აპარატურული კოსმეტოლოგია“ – 8 კვირა, „პერმანენტული მაკიაჟი“ – 4 კვირა და „წამწამების მოდელირება“ – 4 კვირა. ოთხივე პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა - 10-10 მსმენელი.

პროგრამების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს სხვადასხვა სასწავლო/ტრენინგ პროგრამების განხორციელების კუთხით, რომელიც ამზადებს ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პირებს კოსმეტოლოგიაში; რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამების დანერგვას ამ მიმართულებით, მოთხოვნა ბაზარზე დიდია (ბაზარზე ოპერირებს რამდენიმე ასეული სილამაზისა და ესთეტიკის ცენტრი, დეფიციტურია შესაბამისი კვალიფიციური კადრი, ვინც შესაბამის მომსახურებას შესთავაზებს ბაზარს). შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრმა ჩაატარა მოკვლევა თბილისის მასშტაბით, სადაც ყველაზე მეტი მოთხოვნაა წარმოდგენილი პროგრამების მიმართულებით, სხვადასხვა სპეციალისტებზე.

დაწესებულებამ დაახლოებით 30-მდე სილამაზისა და ესთეტიკის ცენტრთან ჩაატარა მოკვლევა, თუ რა პროფესიის ადამიანებზე იყო მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა წარმოდგენილი პროგრამების სპეციალისტების საჭიროება. კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ დასაქმების სხვადასხვა პლატფორმებზე გამოიკვეთა აღნიშნული სპეციალისტების მოთხოვნა, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ამ სპეციალისტების მომზადების პროგრამის შემუშავების საჭიროება, რათა მოხდეს აღნიშნული პროგრამების დანერგვა/განხორციელება.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამებზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა გასაუბრება. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით ცენტრის წარმომადგენლებთან. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამების მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამების ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში,

რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას.
პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.

რაც შეეხება დანარჩენ ქვესტანდარტებს, ვინაიდან იურიდიულმა პირმა პირველად შემოიტანა ცენტრში განაცხადები - 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები ვერ შეფასდა გამოცდილების არარსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა და დასძინა, რომ ცენტრში არის ყველანაირი პირობა წარმოდგენილი პროგრამების განხორციელებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ წარმატება უსურვა ცენტრს წარმოდგენილი პროგრამების განხორციელებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრისთვის „დიოდური ეპილაციის პროცედურები“ /02400/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპულ ცენტრს (ს/კ: 405357117) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - დიოდური ეპილაციის პროცედურები /02400/ **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრისთვის „ესთეტიკური და აპარატურული კოსმეტოლოგია” /02401/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპულ ცენტრს (ს/კ: 405357117) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ესთეტიკური და აპარატურული კოსმეტოლოგია /02401/ **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრისთვის „პერმანენტული მაკიაჟი“ /02402/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპულ ცენტრს (ს/კ: 405357117) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „პერმანენტული მაკიაჟი“ /02402/ **(დანართი 5).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპული ცენტრისთვის „წამწამების მოდელირება“ /02403/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ესთეტიკური მედიცინის ევროპულ ცენტრს (ს/კ: 405357117) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - წამწამების მოდელირება /02403/ **(დანართი 6)**.

13:32 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა მარიამ ნოზაძემ.

8. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის „მცენარეთა მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /02391/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 სექტემბრის №1255031 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია
აბდალაძემ 2025 წლის 17 ოქტომბერს განახორციელა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში, ქ. გორში, სადაც განთავსებულია პროგრამისთვის სასწავლო გარემო (სასწავლო სივრცე და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილი).

ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზები 1.3, 1.7 და 1.8 ქვესტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ
ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან
პროგრამის მიზანი ფორმულირებულია შემდეგნაირად, რომ კურსდამთავრებული ,,შეძლებს კვალიფიციური საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების გაწევას მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და შესაბამისი აგროტექნიკის მაღაზიებში/სასოფლო მეურნეობაში“. პირი/კურსდამთავრებული ამას შეძლებს მხოლოდ იმ შეთხვევაში, თუ პროგრამა იქნება

გადამზადების და დაშვების წინაპირობები მკაცრად იქნება განსაზღვრული, ასევე პირი გასაუბრებაზე დაადასტურებს სოფლის მეურნეობაში გამოცდილებას ან დოკუმენტურად დაადასტურებს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას. მიზანში ასევე უნდა დაკონკრეტდეს რომელი კულტურების რომელ მავნებელ/დაავადებებს შეისწავლიან პროგრამის განხორციელების პროცესში, რადგან ყველა კულტურის ყველა მავნებლის/დაავადების შესწავლა 11 კვირაში ფიზიკურად შეუძლებელია.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

წარმოდგენილი პროგრამა თავისი შინაარსით, სწავლის შედეგებით და თემატიკით ვერ იძლევა პროგრამის მიზნით გათვალისწინებული შესაბამისი სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას, რადგან 100 საათის განმავლობაში, 11 კვირაში შეუძლებელია პირმა სრულად ისწავლოს მავნებელ - დაავადებების გამომწვევი აგენტების ბიოლოგია, მორფოლოგია, გავრცელების თავისებურებები, მავნეობის ზღვარი. ამ პერიოდში შეუძლებელია მან შეძლოს, თუნდაც რეგიონში გავრცელებული მავნებელ-დაავადებების იდენტიფიკაცია, მისი პრაქტიკული ამოცნობა ველზე, სიმპტომების და მცენარეზე არსებული ნიშნების მიხედვით დიაგნოსტირება, მოიძიოს და შეიძინოს საჭირო ინსექტიციდი, მოახდინოს მისი სწორად გამოყენება, დანერგოს და გამოიყენოს დაცვის ინტეგრირებული მეთოდები. პროგრამის მეორე და მეოთხე კვირაში, უნდა გაიზარდოს საათების რაოდენობა, რადგან თემატიკასთან მიმართებით დრო შეუსაბამოა, საჭიროა საათების გაზრდა.

ქვესტანდარტი 1.8 - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით

პროგრამის აღწერაში ნახსენებია, რომ ,,შესაძლებელია დისტანციური სწავლება", რაც ჯერ კანონმდებლობით არ არის ნებადართული მოკლევადიან პროგრამებზე. ამ ეტაპზე პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პირისპირ სწავლების მეთოდით. შესაბამისად დასაკორექტირებელია ჩანაწერი პროგრამის აღწერაში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი - ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი №9.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, კონკრეტულად კი შიდა ქართლში, სადაც აქტიურია სხვადასხვა ბოსტნეულ-ბაღჩეულის, ხილის, ვაზისა და მარცვლეულის ინდუსტრიული ბიზნესები, არსებობს მაღალი მოთხოვნა თანამედროვე ცოდნით და უნარებით შეიარაღებულ აგრონომზე, მცენარეთა დამცველზე. კვალიფიციური კადრის დეფიციტის გამო, ხშირად ფერხდება ზემოთაღნიშნული მიმართულებების განვითარება, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვის პრობლემატიკა მავნე ორგანიზმებისგან, რაც დადასტურდა შიდა ქართლში დამსაქმებელთა გამოკითხვით. გამოკითხვისას გამოიკვეთა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის უნარების მქონე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. მათი ჩართულობით და ინტერესების გათვალისწინებით, კოლეჯმა „მომავლის ფერმერთან" ერთად, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული პროექტის "საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული შესაძლებლობების გაძლიერება" ფარგლებში, რომელიც ეფუძნება კალიფორნიის, ფრეზნოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მომზადებულ ონლაინ სასწავლო კურსს „მავნებელთა ინტეგრირებული მართვა" (IPM) და სრულად პასუხობს საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნებს, შეიმუშავა პროფესიული მომზადება პროგრამა ,,სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა". შიდა ქართლის რეგიონში დამსაქმებელთა კვლევამ გამოკვეთა

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის უნარების მქონე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიზანი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, შესაბამისად ქვესტანდარტი დარღვეულია. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 11 კვირა, ზემოთ აღინიშნა, რომ ქვესტანდარტი დარღვეულია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამას ჰყავს ორი პარტნიორი, სადაც გამოყოფილი გარემო და მატერიალური აღჭურვილობა ხელს შეუწყობს პროფესიული მომზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვან განხორციელებას.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით, დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, პროფესიული მომზადების პროგრამებზე დღემდე ჩარიცხულია ჯამში - 71, დაასრულა 56-მა, მიმდინარეა ერთი პროგრამა, ერთზე მიმდინარეობს აპლიკანტების რეგისტრაცია, დასაქმებულთა რაოდენობა - 70%.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. მან დასძინა, რომ ვინაიდან პირველი სტანდარტის ქვესტანდარტებში გამოვლინდა ხარვეზი, კენჭისყრაზე დააყენებდა ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის „მცენარეთა მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /02391/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს (ს/კ: 417878130) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - მცენარეთა მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა /02391/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი საკითხების განხილვის დაწყებამდე მიმართა ცენტრის წარმომადგენელს მაია აბდალაძეს და შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის განაცხადების შეფასებაში ჩართულ დარგის ექსპერტებს, მან განაცხადა, რომ ოთხი განაცხადიდან სამს, კერძოდ „მაკიაჟის შესრულებას“, „კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლას“ და „ლაზერულ ეპილაციას“ 2025 წლის 6 ოქტომბრის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოზე განესაზღვრა ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადა. ვინაიდან წინა საბჭოზე საკითხები განხილულ იქნა დეტალურად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, მოკლედ მოეხსენებინა საბჭოსთვის ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ განეხილათ განაცხადი „მაკიაჟის შესრულება და თმის ვარცხნილობები“.

9. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „მაკიაჟის შესრულება“ /02375/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

10. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა“ /02373/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

11. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „დიოდური ეპილაცია“ /02372/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/-გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს მიერ (2025 წლის 6 ოქტომბრის №1281649 ოქმი და №1288424, №1290025 და №1288429 გადაწყვეტილებები), პროგრამებს განესაზღვრა ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადა. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტმა 2025 წლის 9 ოქტომბერს გამოასწორა ხარვეზი და წარმოადგინა განახლებული პროგრამები.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 13 ოქტომბრის №1341082, №1341081 და №1347975 ბრძანებების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ, ნინო ნიშნიანიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ შეისწავლა შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის პროფესიული მომზადების პროგრამები.
ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზები სამივე პროგრამასთან მიმართებაში გამოსწორებულია, ასევე გათვალისწინებულია ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები.პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პარამეტრები არ შეცვლილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენელს და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტისთვის „მაკიაჟის შესრულება“ /02375/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს

ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტს (ს/კ: 412789647) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მაკიაჟის შესრულება /02375/ **(დანართი 7)**.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 12 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტისთვის „კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა“ /02373/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტს (ს/კ: 412789647) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა /02373/ **(დანართი 8).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 12 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტისთვის „დიოდური ეპილაცია“ /02372/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტს (ს/კ: 412789647) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - დიოდური ეპილაცია /02372/ **(დანართი 9)**.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 12 დეკემბერი.

12. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „მაკიაჟის შესრულება და თმის ვარცხნილობები“ /02410/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 13 ოქტომბრის №1341074 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2025 წლის 30 ოქტომბერს განახორციელა ვიზიტი შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტუტუტში, ქ. ქუთაისში, (მისამართი: არაყიშვილის ქ. №16ა). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის, „მაკიაჟის შესრულება და თმის ვარცხნილობები“, განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი - ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულების მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ რეგიონში მაღალია მოთხოვნა ვიზაჟისტებისა და თმის სტილისტების კვალიფიციურ სპეციალისტებზე. კვლევამ დაადასტურა, რომ შესაბამისი სპეციალობის მქონე კადრები განსაკუთრებით მოთხოვნადია სილამაზის სალონებსა და ესთეტიკურ კლინიკებში. შრომის ბაზარზე შესაბამისი კომპეტენციების მქონე კადრების ნაკლებობა აღნიშნულ სფეროში პროფესიული მომზადების პროგრამის აუცილებლობას უსვამს ხაზს. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად და დასაქმების გასაზრდელად.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის

ხანგრძლივობაა 6 კვირა. პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი გაკეთებულია პრაქტიკულ სწავლებაზე, ხოლო ლექციები ჩატარდება ინტერაქციულ ფორმატში. პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება გამოკითხვა და მსმენელის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება. განმავითარებელი შეფასება განხორციელდება პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება პროგრამის ბოლოს, რომლის დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ ინსტიტუტი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტს, აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტისთვის „მაკიაჟის შესრულება და თმის ვარცხნილობები“ /02410/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტს (ს/კ: 412789647) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მაკიაჟის შესრულება და თმის ვარცხნილობები /02410/ **(დანართი 10).**

13. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „მღვიმის მაშველი“ /02397/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა სულიკო ჯამრიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 ოქტომბრის №1347977 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა სულიკო ჯამრიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2025 წლის 3 ნოემბერს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში (მისამართი: ქ. თბილისი, ფერიცვალების ქ. №22).
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის, „მღვიმის მაშველი“, განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაციები 1.4 და 1.6 ქვესტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ
ქვესტანდარტი 1.4 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

მოთხოვნილი დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, პროგრამა უფრო გადამზადებაა და არა მომზადება, რადგან აპლიკანტთა მიღებისათვის, მოთხოვნილია შემდეგი წინარე პირობები/დოკუმენტაცია: ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზის სკოლის მიერ გაცემული ექტრემალური სპელეოტურის გამყოლის სერთიფიკატი; ან უცხოეთის მიერ გაცემული სპელეოლოგის, სპელეოგამყოლის, სპელეო ინსტრუქტორის ან სპელეო ექსპერტის სერთიფიკატი; ან მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება პრაქტიკულ (სპორტულ) სპელეოლოგიაში, სპელეო კლუბების და საქართველოს სპელეოლოგთა კავშირის შემადგენლობაში, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ აპლიკანტს აქვს გარკვეული გამოცდილება მიღებული, მაგალითად მან იცის მღვიმეში სწორად გადაადგილება, გარკვეულწილად გამომუშავებული აქვს მღვიმეში მოქცევის უნარ-ჩვევები, არის ფსიქოლოგიურად მზად და რაც მთავარია მან იცის უკვე მღვიმის მაშველის გარკვეული საფუძვლები (თოკზე ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილება, თოკიდან დაზარელებულის ჩამოხსნა-დაშვება, პირველადი დახმარება, 112-თან დაკავშირება და მათთან თანამშრომლობა, მღვიმეში კორდინირებულად გადაადგილება და ინფორმაციის სწორად გაცვლა და ა.შ. შესაბამისად, რეკომენდებულია შეიცვალოს პროგრამის ფორმა, ნაცვლად მომზადებისა, იყოს პროფესიული გადამზადების.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

წარმოდგენილ პროგრამაში სწავლის შედეგების რაოდენობაა - 15, რეკომენდებულია სწავლის შედეგების გამსხვილება.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი - სოფ. ყუმისთავი, მღვიმე ოფიჭო - 2; სოფ. მელოური, მღვიმე სოლკოტა-2; ხვამლის მასივი, მღვიმე "ბოგა"; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მელოური, ბღერის მღვიმე.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, სათავგადასავლო ტურიზმით დაინტერესებულ ტურისტებისთვის მნიშვნელოვანია მღვიმის მიმართულებითაც იყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომ შესაბამისი სერვისი შეთავაზება ჰქონდეს ამ სფეროთი დაინტერესებულ ტურისტებს. საქართველოში, როგორც კეთილ მოწყობილი, ასევე მოუწყობელი მღვიმეების დათვალიერების და შესწავლის მსურველთა რაოდენობის შესამჩნევი ზრდის პირობებში, აუცილებელია არსებობდეს მღვიმის გამყოლების და მღვიმის მაშველების შესაბამისი რაოდენობა, რათა მღვიმის დათვალიერების მსურველებმა მიიღონ მაღალი ხარისხის საგამყოლო და სამაშველო მომსახურება. საქართველოში ფაქტიურად აღარ მოიძებნება მღვიმეში სამაშველო საქმიანობის მცოდნე პირები, რაც დიდი რისკის ქვეშ აყენებს მღვიმეებში მოგზაურობის მსურველებს. აქედან გამომდინარე, პროგნოზირებადია მოთხოვნა იმ უნარებზე, რომლებსაც მსმენელი პროფესიული მომზადების პროგრამის „მღვიმის მაშველის“ გავლის შემდეგ მიიღებს. ქართველ სპელეოლოგთა კლუბის ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებულ შიდა კვლევაზე დაყრდნობით, ერთ-ერთ გამოწვევად, სპელეოლოგიის დარგში დასაქმებული კვალიფიციური მაშველების კადრების ნაკლებობა სახელდება. დარგის სპეციალისტების მოსაზრებით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია მღვიმის მაშველის კადრების საკითხის მოგვარება.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზის სკოლის მიერ გაცემული ექტრემალური სპელეოტურის გამყოლის სერთიფიკატი; ან უცხოეთის მიერ გაცემული სპელეოლოგის, სპელეოგამყოლის, სპელეო ინსტრუქტორის ან სპელეო ექსპერტის სერთიფიკატი; ან მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება პრაქტიკულ (სპორტულ) სპელეოლოგიაში, სპელეო კლუბების და საქართველოს სპელეოლოგთა კავშირის შემადგენლობაში. ასევე ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100). ასევე შესარჩევი ტური.

სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, გაიცა რეკომენდაცია. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამა მთლიანად ხორციელდება C სასწავლო გარემოში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებულ პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმეებში.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამაში ჩართული იქნება 7 განმახორციელებელი პირი, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ სტანდარტი შესაბამისობაშია. დაწესებულებას განხორციელების უფლება მინიჭებული აქვთ 15 პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე. ამჟამად ახორციელებს ორ პროგრამას (,,საცხენოსნო ტურის გამყოლი“, ,,საფეხმავლო გამყოლი“) და მესამე პროგრამის დაწყება იგეგმება.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. მან დასძინა, რომ ვინაიდან პირველი სტანდარტის ქვესტანდარტებში გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელი, ამავდროულად უფრო ხარვეზებისკენ იხრება, საკითხს კენჭისყრაზე დააყენებდა ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ.
დაწესებულების წარმომადგენელმა ზაზა ამირეჯიბმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს, საბჭოს წევრებს და ცენტრის წარმომადგენლებს და დასძინა, რომ რა თქმა გაითვალისწინებდნენ რეკომენდაციებს, თუმცა დაწესებულებას მაინც თავისი მოსაზრბე აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „მღვიმის მაშველი“ /02397/ - პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - მღვიმის მაშველი /02397/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 14:56 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
სანაია სალომე



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02394	სხვადასხვა მასალის დამუშავება თანამედროვე CAM პროგრამების გამოყენებით, 3 D მოდელირება და რთული მრავალკომპონენტიანი ნაკეთობების პროექტირება	პროფესიული მომზადება	მეოთხე	10	ქართული	30	ქ. თბილისი, ზესარიონ ჭიჭინაძის №10

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02419	მძიმე ტექნიკის (ჰიდრავლიკური ექსკავატორი, ავტოგრეიდერი და სხვადასხვა ტიპის სატვირთველი) მართვა	პროფესიული მომზადება	მეოთხე	9	ქართული	30	ქ. თბილისი, ზესარიონ ჭიჭინაძის №10

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02400	დიოდური ეპილაციის პროცედურები	პროფესიული მომზადება	მეხუთე	3	ქართული	10	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №67

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02401	ესთეტიკური და აპარატურული კოსმეტოლოგია	პროფესიული მომზადება	მეხუთე	8	ქართული	10	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №67

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02402	პერმანენტული მაკიაჟი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	4	ქართული	10	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №67

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02403	წამწამების მოდელირება	პროფესიული მომზადება	მეხუთე	4	ქართული	10	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №67

დანართი 7

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02375	მაკიაჟის შესრულება	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	12	ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა

დანართი 8

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02373	კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	12	ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა

დანართი 9

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02372	დიოდური ეპილაცია	პროფესიული მომზადება	მესამე	6	ქართული	12	ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა

დანართი 10

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02410	მაკიაჟის შესრულება და თმის ვარცხნილობები	პროფესიული მომზადება	მესამე	6	ქართული	12	ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა